თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7649941

ნომერი: AR11110274

თარიღი : 24.09.2025

გაცემის თარიღი : 01.10.2025

გაცნობის თარიღი : 01.10.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , ნაკვ. 15/035;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინე ლომაძე პ/ნ 01027087127
- საქართველო, ქალაქი თბილისი, III მასივი, I კვარტალი, კორპუსი 4, ბინა 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია. განგიმარტავთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება.
ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტით იგეგმება მოძრავი დანადგარის განთავსება , რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს სანებართვო საგანს სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სწრაფი კვების მოძრავი ჯიხურის განთავსება.

ასევე მოგახსენეთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის“ გათვალისწინებით და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი. თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიების დაგეგმარების რუკაა, რომელზეც დატანილია მონაცემები ქალაქის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი მწვანე ან/და სარეკრეაციო ზონებისა და არეალების შესახებ. აქედან გამომდინარე, სამსახური იმ საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება, რომელზეც ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი დაუშვებლად მიაჩნია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე , სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.